

კოლომბიის რესპუბლიკისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მომართვის საფუძველზე სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიამ იმსჯელა *კოლომბიის რესპუბლიკის* ქართულ ენაზე სახელწოდების შეცვლის თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება, რომ შემოღებულ იქნეს მისი ავთენტური სახელწოდება – „*კოლომბიის რესპუბლიკა*“ (2023/16/05, ოქმი #2). როგორც ცნობილია, *კოლომბიის რესპუბლიკის* მთავრობამ არაერთხელ მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ქვეყნის სახელად „*კოლომბიის*“ ნაცვლად დამკვიდრდეს „*კოლომბია*“ (Colombia [ko'lobja]).

სახელწოდების ცვლილების თხოვნით სახელმწიფო ენის დეპარტამენტმა მიმართა საქართველოს მთავრობას. დეპარტამენტის რეკომენდაცია ასახულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 ივლისის 269-ე დადგენილებაში „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

„*კოლომბია*“, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, არის ხმოვანფუძიანი კვეცადი გეოგრაფიული სახელი და იბრუნვის ამგვარად:

სახ. კოლომბია
მოთხ. კოლომბია-მ
მიც. კოლომბია-ს
ნათ. კოლომბი-ის
მოქმ. კოლომბი-ით
ვით. კოლომბია-დ
წოდ. კოლომბია(-ვ)

ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელიდან „*კოლომბია*“ წარმოქმნილი სახელები იქნება „*კოლომბიელ-ი*“ და „*კოლომბიურ-ი*“ და, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შესაბამისად, მათი ბრუნვის ფორმები იქნება შემდეგი:

სახ. კოლომბი-ელ-ი კაც-ი	კოლომბი-ურ-ი ყავა
მოთხ. კოლომბი-ელ-მა კაც-მა	კოლომბი-ურ-მა ყავა-მ
მიც. კოლომბი-ელ კაც-ს	კოლომბი-ურ ყავა-ს
ნათ. კოლომბი-ელ-ი კაც-ის	კოლომბი-ურ-ი ყავ-ის
მოქმ. კოლომბი-ელ-ი კაც-ით	კოლომბი-ურ-ი ყავ-ით
ვით. კოლომბი-ელ კაც-ად	კოლომბი-ურ ყავა-დ
წოდ. კოლომბი-ელ-ო კაც-ო	კოლომბი-ურ-ო ყავა(-ვ)